ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 48231252**

თარიღი:**05/05/2023**

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირების

შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 03 მაისის N5/24481 წერილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე 64 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაარეგისტრიროს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (უფროსი მ. კანკაძე).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გრიგოლი ყურაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია • CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 • 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი